



ეგზ. N 2

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„03“ 08 2015 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

01.01.2011წ. – 01.01.2015წ. პერიოდის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შე 53/00

სარჩევი

დასკვნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ	4
შრომის ანაზღაურება.....	4
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით.....	6
მოთხოვნები დანაკლისებით	6
დაუმთავრებელი მშენებლობების აღრიცხვის და ცვეთის დარიცხვის ხარვეზები	7
ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების აღრიცხვაში არსებული ხარვეზები.....	7
კრედიტორული დავალიანებები	8
წარმომადგენლობითი ხარჯი	8
არაფინანსური აქტივების აღრიცხვა	8
სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები.....	10
შპს „ერ-თი-ჯისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	11
შპს „დამბასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N192.....	13
შპს „დამბასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N163.....	15
შპს „ბლოკ-ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N203	17
შპს „ბლოკ-ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N104	21
შპს „გრუსიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N51	22
შპს „მემონტაჟე ნიკასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები.....	23
შპს „ელექტრო მონტაჟ სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები	26
შპს „ელექტროობისა და განათების კომპანიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.....	27
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაში არსებული სხვა ხარვეზები.....	28
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	31

დასკვნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს (შემდგომში მთავარი სამმართველო) მიერ გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2011 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. აუდიტის დროს შესწავლილი იქნა:

- ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
- განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ასევე ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გასცეს დასკვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს (მთავარი სამმართველო) ფინანსური ოპერაციების და განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ სამმართველოს საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება თუ არა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

შრომის ანაზღაურება

2011-2014 წლებში მთავარ სამმართველოს დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა შემცირდა 2085-დან 1978 ერთეულამდე¹. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ფაქტიურად დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენდა 2003-1928 ერთეულს.

წლების მიხედვით შრომის ანაზღაურების მუხლით საკასო ხარჯი გაწეულია შემდეგი ოდენობებით (ათას ლარებში):

დასახელება	2014	2013	2012	2011
<i>შრომის ანაზღაურება</i>	<i>31,192.6</i>	<i>31,462.7</i>	<i>31,424.7</i>	<i>32,231.6</i>
თანამდებობრივი სარგო	24,755.9	24,821.0	25,096.4	24,884.0
წოდებრივი სარგო	743.8	718.9	724.4	706.1
პრემია	1,337.4	2,493.0	2,234.3	3,378.9
დანამატი, <i>მათ შორის</i>	4,355.5	3,429.8	3,369.6	3,261.8
<i>სპეციალური დანამატი</i>	<i>711.1</i>	-	-	-
კომპენსაცია	-	-	-	0.8

მთავარ სამმართველოში, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შრომის ანაზღაურების მუხლით თანხების ზედმეტად გაცემის და უკან დაბრუნების ფაქტებს. აღნიშნული გამოწვეული იყო ერთის მხრივ იმით, რომ თანამშრომელთა გათავისუფლება ხდებოდა წინა თარიღებით და მეორეს მხრივ - გათავისუფლების ბრძანებები დაგვიანებით მიეწოდებოდა საბუღალტრო სამსახურს. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლით სულ ზედმეტად გაცემულია 107.9 ათას ლარი, აქედან უკან დაბრუნებულია - 96.2 ათასი ლარი. კანონმდებლობის² მოთხოვნათა უგულვებელყოფით მთავარი სამმართველო 2011, 2012 და 2013 წლების განმავლობაში ბუღალტრულად არ აღრიცხავდა შრომის ანაზღაურების მუხლით ზედმეტად გაცემულ თანხებს. შესაბამისად, 2011, 2012 და 2013 წლების ბალანსებში „მომუშავეების მიმართ მოთხოვნების“ ანგარიში შემცირებული სახით არის წარმოდგენილი. აუდიტის მიმდინარეობისას მთავარმა სამმართველომ ზედმეტად გაცემული თანხები ასახა მოთხოვნების ანგარიშზე, რის შედეგადაც 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 11.7 ათასი ლარი.

წინა თარიღით თანამშრომლების გათავისუფლების შემთხვევებში გათავისუფლების ბრძანებები გამოცემულია შსს გენერალური ინსპექციის დასკვნების საფუძველზე. სადაც

¹ 2011 წელი - 2085, 2012 - 2001, 2013 - 1978, 2014 - 1978 ერთეული.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 43-ე პუნქტის მოთხოვნა.

მოკვლეული და დადგენილია, რომ პირების სამსახურიდან გათავისუფლება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ცხადდებოდნენ სამსახურში. საფინანსო განყოფილებას აღნიშნულის შესახებ არ ეცნობებოდა და შესაბამისად აღნიშნულ პირებზე გრძელდებოდა შრომის ანაზღაურების გაცემა. პირები გათავისუფლებული არიან ბრძანებების გამოცემამდე რამდენიმე თვით ადრინდელი თარიღებით. აღნიშნული მიუთითებს ამ მიმართულებით პრევენციული შიდა კონტროლის არ არსებობაზე. მაგალითად:

შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის 2013 წლის 25 აპრილის N780786 ბრძანებით წინა თარიღით (2013 წლის 26 თებერვლიდან) გათავისუფლებულია დეტექტივ-გამომძიებელი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი. აღნიშნულ პირზე ზედმეტად გაცემულმა თანხამ შეადგინა 2,554.11 ლარი, რაც მას უკან არ დაუბრუნებია. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მას დაეკისრა აღნიშნული თანხის გადახდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შს მინისტრის 2013 წლის 17 სექტემბრის N1834668 ბრძანებით მას 2013 წლის 26 სექტემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო მიეცა ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება 7,000 ლარის ოდენობით, ისე რომ არ მომხდარა არსებული დავალიანების დაქვითვა.

„საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ სამმართველოს თანამშრომელთა ნაწილს³, შს მინისტრის ბრძანებების საფუძველზე დაენიშნათ ყოველთვიური სპეციალური დანამატები. აღნიშნული დანამატები მერყეობს თანამდებობრივი სარგოს 18%-დან 200%-მდე ოდენობით. მოწოდებული ინფორმაციით, 2014 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით (6 თვის განმავლობაში) სპეციალური დანამატის სახით გაცემულია სულ 711.1 ათასი ლარი.

2013 წელს პრემიის ქვემუხლით ჯამურად გაწეულია 2,493.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რაც შტატით გათვალისწინებულ თანამშრომლებზე წლიურად გაცემული ჯამური თანამდებობრივი სარგოების 10%-ია. 2013 წლის განმავლობაში თანამშრომლებზე წლიურად გაცემული პრემიების ოდენობა მათზე წლიურად გაცემული თანამდებობრივი სარგოების ოდენობის 0%-305%-ს შეადგენს.

2012 წელს პრემიის ქვემუხლით ჯამურად გაწეულია 2,234.3 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რაც შტატით გათვალისწინებულ თანამშრომლებზე წლიურად გაცემული ჯამური თანამდებობრივი სარგოების ოდენობის 9%-ია. 2012 წლის განმავლობაში თანამშრომლებზე წლიურად გაცემული პრემიების ოდენობა მათზე წლიურად გაცემული თანამდებობრივი სარგოების ოდენობის 0%-215%-ს შეადგენს.

³ 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით 191 თანამშრომელზე

2011 წელს პრემიის ქვემუხლით ჯამურად გაწეულია 3,378.9 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რაც შტატით გათვალისწინებულ თანამშრომლებზე წლიურად გაცემული ჯამური თანამდებობრივი სარგოების 14%-ია. 2011 წლის განმავლობაში თანამშრომლებზე წლიურად გაცემული პრემიების ოდენობა მათზე წლიურად გაცემული თანამდებობრივი სარგოების ოდენობის 0%-180%-ს შეადგენს.

მთავარ სამმართველოში 2011-2012წწ. შტატგარეშე მომუშავეებზე პრემიები გაცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ მოთხოვნათა დარღვევით. კერძოდ, 2011-2012წწ. შტატგარეშე მომუშავეთა პრემიები გაცემულია „შრომის ანაზღაურების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „პრემიის“ ქვემუხლით, ნაცვლად, „საქონელი და მომსახურების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ ქვემუხლისა. 2011 წელს პრემია გაცემულია 21 შტატგარეშე მოსამსახურეზე 3,450 ლარის ოდენობით, 2012 წელს - 19 შტატგარეშე მოსამსახურეზე - 4,750 ლარის ოდენობით.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

აუდიტის პერიოდის განმავლობაში მთავარი სამმართველო ბუღალტრულად არ აღრიცხავდა მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის გამო მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელ პირგასამტეხლოებს (ანგარიშზე N1354 - მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით), რაც არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს⁴.

მოთხოვნები დანაკლისებით

მთავარ სამმართველოს 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ანგარიშზე N1440 (მოთხოვნები დანაკლისებით) ერიცხებოდა ნაშთი 26.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ნაშთი წარმოშობილია 2005 და 2007 წლებში და ძირითადად მოიცავს 2007 წელს შსს მონიტორინგის ჯგუფის სარევიზიო პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილ დანაკლისს, კერძოდ 3 ერთეულ ავტომანქანას⁵. შემდგომი რეაგირების მიზნით მასალები გადაგზავნილია შსს გენერალურ ინსპექციაში. ვერ იქნა წარმოდგენილი საკითხის შესწავლის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები.

⁴ აუდიტის პერიოდში მოქმედი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 25-ე პუნქტის მოთხოვნა.

⁵ მერსედესი, ოპელ ვექტრა და ვაზ-2106.

მთავარი სამმართველოს უფროსის 2011 წლის 26 ოქტომბრის N27 და 2011 წლის 15 დეკემბრის N31 ბრძანებების შესაბამისად შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია. ინვენტარიზაციის შედეგად 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გამოვლინდა დანაკლისი სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის ანგარიშზე 14.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დანაკლისი 2012 წლის განმავლობაში მოხსნილია ბალანსიდან ცნობის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ დანაკლისად დაფიქსირებული ყველა მატერიალური ფასეულობა მოძებნილი და წარდგენილი იქნა საინვენტარიზაციო კომისიისადმი, თუმცა საინვენტარიზაციო კომისიის კორექტირებული ოქმი ვერ იქნა წარმოდგენილი.

მთავარი სამმართველოს უფროსის 2013 წლის 7 ოქტომბრის N15 ბრძანებით შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა დანაკლისი 80.7 ათასი ლარის ოდენობით. საიდანაც 1.8 ათასი ლარი წარმოადგენს დიზელის საწვავის დანაკლისს, რომელიც ჩამოწერილია შსს გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, ხოლო 79.5 ათასი ლარი წარმოადგენს კავშირგაბმულობის საშუალებებს (ძველი რაციები), რომლებიც 1989-1999 წლებში ჩაბარებულია იმ პერიოდში არსებულ „კავშირგაბმულობის საშუალებათა სახელოსნოში“ და რომლებიც ფაქტიურად არ არსებობს. აღნიშნული კავშირგაბმულობის საშუალებები არ არსებობდა არც 2011 და 2012 წლებში, თუმცა ამ პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციების შედეგად დანაკლისი არ არის გამოვლენილი, რაც ეჭვქვეშ აყენებს ინვენტარიზაციის შედეგების სისწორეს.

დაუმთავრებელი მშენებლობების აღრიცხვის და ცვეთის დარიცხვის ხარვეზები

მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების შესწავლისას გამოვლინდა, რომ 2012 წლამდე არ წარმოებდა ანგარიშზე N2140 (დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი) დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტების აღრიცხვა. ეს ობიექტები ექსპლუატაციაში შესვლამდეც ბალანსზე აისახებოდა ძირითადი აქტივების სახით და ერიცხებოდა ცვეთა, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის⁶ მოთხოვნებს. მთავარმა სამმართველომ აღნიშნული ანგარიშის წარმოება დაიწყო 2012 წლიდან, თუმცა წინა წლებში ცვეთის არასწორი აღრიცხვით გამოწვეული უზუსტობები არ გაუსწორებია. შესაბამისად, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამმართველოს ბალანსზე რიცხული აქტივები, კერძოდ, შენობა-ნაგებობების ანგარიში შემცირებულად არის წარმოდგენილი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების აღრიცხვაში არსებული ხარვეზები

2011-2012 წლების განმავლობაში მთავარი სამმართველო დაფინანსებას იღებდა როგორც სახელმწიფო, ასევე ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მოთხოვნა.

მთავარი სამმართველოს ბალანსის დანართებში (ფორმა N3) კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად⁷ არასრულად აქვს ასახული მერიიდან მიღებული დაფინანსება. კერძოდ, 2011 წლის ბალანსში ნაცვლად 2,604.9 ათასი ლარისა ასახულია 646.9 ათასი ლარი, ხოლო 2012 წლის ბალანსში ნაცვლად 2,103.2 ათასი ლარისა ასახულია 734.1 ათასი ლარი.

კრედიტორული დავალიანებები

მთავარ სამმართველოს, შტატით მომუშავეთათვის სახელფასო დავალიანების სახით 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 1,454.8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, რომელიც მომდინარეობს 1998-2003 წლებიდან. დავალიანების დაფარვა წარმოებს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელებით გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე.

წარმომადგენლობითი ხარჯი

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით გაწეული გადახდების შემოწმებისას გამოვლინდა, რომ 2014 წლის 20 იანვრის N18 და N19 ხელშეკრულებების საფუძველზე ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ სასაჩუქრედ შეიძინა შპს „ქართული ღვინის სახლისაგან“ 597.9 ლარის ღვინოები და შპს „ზარაფხანისაგან“ 1899 ლარის ჭადრაკი ხის ყუთით, მოოქროვილ-მოვერცხილი. როგორც ობიექტის მიერ წარმოდგენილი 2014 წლის 22 იანვრის აქტიდან ირკვევა, ქ. თბილისის მთავარ სამმართველოში სტუმრად იმყოფებოდა უცხო ქვეყნის სამ კაციანი დელეგაცია და აღნიშნული 2,496.9 ლარის ღირებულების საჩუქრები შესყიდულ იქნა მათთვის გადასაცემად, თუმცა არ არის დაფიქსირებული და გაურკვეველია, თუ რომელი ქვეყნის და რა რანგის დელეგაციის ვიზიტს ჰქონდა ადგილი. აღნიშნულ პერიოდში მთავარი სამმართველოს მიერ არც სტუმრების სასტუმრო მომსახურების და სარესტორნო ხარჯებია გაწეული. შესაბამისად ვერ იქნა მოპოვებული მტკიცებულება სტუმრების ვიზიტის რეალობასთან დაკავშირებით და ვერ დასაბუთდა აღნიშნული ხარჯის მიზნობრიობა.

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

2010 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავარ სამმართველოს გადასცა 7 ერთეული მიწის ნაკვეთი. კერძოდ:

- ქ. თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხში, მზიურის მიმდებარედ არსებული 13,528 მ² მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N01.14.14.005.144).
- გურამიშვილის გამზირი N17-ს მიმდებარედ არსებული 8,443 მ² მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N01.12.07.016.020).

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

- ვაზისუბნის პირველ მიკრორაიონში მდებარე 3,050 მ² მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N01.17.07.022.005 და N01.17.07.022.004).
- თემქა-მუხიანის გადასასვლელის მიმდებარედ მდებარე 2,320მ² მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N01.11.17.004.060).
- ნორიოს აღმართი N54-ს მიმდებარე 2,387 მ² მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N01.16.04.001.036 და N01.16.04.001.036).
- აეროპორტის მიმდებარე 2,577 მ² მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით N01.19.30.001.091).
- სამღერეთის ქ. N25-ში მდებარე 526 მ² მიწის ნაკვეთი (N01.12.14.090.005).

აღნიშნული მიწის ნაკვეთები მთავარი სამმართველოს მიერ 2010 წლის განმავლობაში თანხობრივად არ იყო აღრიცხული (აღრიცხული იყო მხოლოდ რაოდენობრივად). მოცემული მიწის ნაკვეთები ბალანსზე აღებულია 2011 წლის განმავლობაში ნორმატიული ფასების მიხედვით⁸. კერძოდ: ზემოთ ჩამოთვლილი მიწის ნაკვეთები ნორმატიული ფასების მიხედვით შეფასებულია შესაბამისად (ჩამონათვალის რიგითობის მიხედვით) - 4,599.5 ათას ლარად, 363.0 ათას ლარად, 51.8 ათას ლარად, 69.6 ათას ლარად, 62.1 ათას ლარად, 36.1 ათას ლარად და 8.9 ათას ლარად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 9 დეკემბრის N1-1/2827 ბრძანებით ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცა მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ქერჩის ქ. N4-ში მდებარე შენობა-ნაგებობა ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 88.3 ათასი ლარი, ასევე მიწის ნაკვეთი საბალანსო ღირებულებით 1.1 ათასი ლარი. აღნიშნული შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი მთავარმა სამმართველომ ბალანსიდან მოხსნა 2011 წელს. შედეგად, ბალანსში 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შენობა-ნაგებობების და მიწის ანგარიშები შეიცავს უზუსტობებს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 7 აგვისტოს N1/1/1649 ბრძანების საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს არსებობის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. N46-ში მდებარე შენობა-ნაგებობები N1 და N2 მათზე დამაგრებული 1,483 მ² მიწის ნაკვეთით ჯამურად 1,265.1 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით. ამავე წლის აგვისტოში სამინისტროს მიერ ავიზოთი (N10/37) აღნიშნული ქონება გადაეცა მთავარ სამმართველოს. ავიზოში დაფიქსირდა შეცდომა. კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში ცალკე არ იყო გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ღირებულება. მთავარმა სამმართველომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ღირებულება მიაკუთვნა შენობა-ნაგებობების ღირებულებას და ისე აიღო ბალანსზე. შედეგად მთავარი სამმართველო შენობა-ნაგებობებთან ერთად ცვეთას არიცხავდა არაწარმოებულ აქტივსაც (მიწას), რაც ეწინააღმდეგება მოქმედი

⁸ 2011 წლის 28 იანვრის N1-5 დადგენილების (დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის და სასყიდლოანი სარგებლობის საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ) შესაბამისად განსაზღვრული.

კანონმდებლობის⁹ მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც მიწა არაამორტიზირებადი აქტივია და მას ცვეთა არ ერიცხება. შესაბამისად, 2011, 2012 და 2013 წლების ფინანსურ ანგარიშგებებში შენობა-ნაგებობების და მიწის ღირებულებები უზუსტოდ არის წარმოდგენილი. 2014 წელს შეცდომა გამოსწორებული იქნა. სამინისტროს 2014 წლის 13 მაისის N345 ბრძანების საფუძველზე აღნიშნული 1,483 მ² მიწის ნაკვეთი (ღირებულებით 445.0 ათასი ლარი) გადაეცა შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

შედეგად ბალანსში 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არაწარმოებული აქტივების ანგარიშზე რიცხული ნაშთი შემცირებულია ჯამურად 5,634.9 ათასი ლარით, ხოლო შენობა-ნაგებობების ანგარიში გაზრდილია 533.3 ათასი ლარით. შესაბამისად, ბალანსებში 2012, 2013 და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არაწარმოებული აქტივების ანგარიშზე რიცხული ნაშთი შემცირებულია 445.0 ათასი ლარით, ხოლო შენობა-ნაგებობების ანგარიში გაზრდილია 445.0 ათასი ლარით.

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები

აუდიტის პერიოდში მთავარი სამმართველოს მიერ განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების დროს ზოგიერთ შემთხვევებში დაცული არ არის პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადებებით წარდგენილი და სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვებით განსაზღვრული პირობები დასარიცხი მოგების ნორმების ოდენობებთან დაკავშირებით. კერძოდ, წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებზე თანდართულ ფორმა N2-ებში პირდაპირი ხარჯები (შრომის ანაზღაურების, მასალების და მანქანა-მექანიზმების ღირებულებები, ასევე ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებები) ჩადებულია არა თვითღირებულებებით, არამედ გაზრდილი ოდენობებით. რის შედეგადაც მიმწოდებლების მიერ მიღებული ფაქტობრივი მოგების ოდენობები (პირდაპირ ხარჯებში მოგების ჩადების შედეგად გაზრდილი) მაღალი გამოდის, ვიდრე ეს არის განსაზღვრული სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვებში და ფორმა N2-ებში ნომინალურად დარიცხული მოგების ნორმების მიხედვით. აღნიშნული გარემოება არ შეესაბამება როგორც მოქმედი კანონმდებლობის¹⁰, ასევე სახელშეკრულებო პირობების მოთხოვნებს.

488.0 ათასი ლარის ღირებულების შეუსაბამოები, გამოვლინდა ქვემოთ განხილული შემდეგი ხელშეკრულებების შემთხვევებში:

⁹ აუდიტის პერიოდში მოქმედი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 27-ე მუხლის მე-16 პუნქტის მოთხოვნა.

¹⁰ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის N251 ბრძანების „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ დანართის 115-ე პოზიცია - СНиП IV-8-84.

შპს „ერ-თი-ჯისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2010 წლის 19 ნოემბერს ტენდერში გამარჯვების საფუძველზე მთავარ სამმართველოსა და შპს „ერ-თი-ჯის“ შორის სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება N215 ღირებულებით 848.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდან-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. საბოლოო ფორმა N2-ის (2011 წლის 20 მაისის შესრულებული სამუშაოების აქტი N1) მიხედვით ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 846.9 ათასი ლარი, რაც ეტაპობრივად გადახდილი იქნა.

ზემოაღნიშნული ფორმა N2 შედგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით¹¹. კერძოდ, მასში ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის პირდაპირი ხარჯები (მასალების, შრომის და მანქანა-მექანიზმების ღირებულებები). ასევე პირდაპირი ხარჯებისგან გამიჯნული არ არის დარიცხული ზედნადები ხარჯები და დარიცხული მოგება, რის გამოც გაურკვეველია დანარიცხების პროცენტული ოდენობა. აქედან გამომდინარე სამუშაოთა ერთეულების ღირებულებები წარმოდგენილია გაერთიანებულად პირდაპირ ხარჯებთან და დანარიცხებთან ერთად. გარდა ამისა ფორმა N2-ში მითითებულ სამუშაოთა ღირებულებების შემოწმებით გამოვლინდა, რომ მონოლითური რკინა-ბეტონის სამუშაოების ღირებულებები განსხვავებულად იყო წარმოდგენილი მოქმედი ნორმებით გაანგარიშებულთან შედარებით. კერძოდ:

- მე-6 პოზიციაში (მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკვლის ფილის მოწყობის სამუშაოები) ერთეულის (1მ^3) ღირებულება ზემოაღნიშნული პრინციპით (დანარიცხების გათვალისწინებით დღგ-ს გარეშე) დაფიქსირებულია 525.4 ლარის ოდენობით. სულ 122 მ³ სამუშაოების ღირებულება დაფიქსირებულია 64.1 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (СНП IV-2-82, კრებული N6, პარაგრაფი 1, ცხრილი 6-1, გრაფა 16) აღნიშნული სახის სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების ნორმა 1მ^3 -ზე შეადგენს 1.87 კაც/საათს. მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მონაცემებით 1 კაც/საათის საშუალო საბაზრო ღირებულება შეადგენდა 4.6 ლარს. მაქსიმალური საბაზრო ფასის მიხედვით (7.81 ლარი) კი მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკვლის ფილის 1მ^3 -ს მოწყობის სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების მაქსიმალური ღირებულება მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდისთვის შეადგენდა დაახლოებით 14.6 ლარს. 1მ^3 ბეტონის მაქსიმალური ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 127 ლარს. ამავე ნორმების მიხედვით არმატურის ნორმა 1მ^3 ბეტონზე შეადგენს 0.08 ტონას. 1 ტონა არმატურის ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 1180 ლარს, შესაბამისად არმატურის

¹¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის N251 ბრძანების „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ დანართის 1-ლი პოზიცია - СНП 1.02.01-85, დანართი 14, ფორმა N6.

ღირებულება 1მ³ ბეტონზე იქნება 94.4 ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკვლის ფილის მოწყობის სამუშაოების 1მ³-ის ღირებულება სულ შეადგენდა 236 ლარს (14.6+127+94.4) დანარიცხების გარეშე. პრაქტიკაში არსებული დანარიცხების მაქსიმალური ნორმების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები - 10%, მოგება - 8%) ზემოაღნიშნული სამუშაოების 1მ³-ის დაახლოებითი ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 280.37 ლარს. რაც 122 მ³-ზე გაანგარიშებით იქნება დაახლოებით 34.2 ათასი ლარი. სხვაობა ფორმა N2-ში დაფიქსირებულსა და მოქმედი ნორმებით გაანგარიშებულ ღირებულებას შორის შეადგენს 29.9 ათას ლარს (64.1-34.2) დღგ-ს გარეშე. დღგ-ს ჩათვლით სხვაობა შეადგენს დაახლოებით 35.3 ათას ლარს.

- მე-7 პოზიციაში (მონოლითური რკინა-ბეტონის სარდაფის კედლების მოწყობის სამუშაოებზე) ანალოგიური ნორმების (СНиП IV-2-82, კრებული N6, პარაგრაფი 4, ცხრილი 6-11, გრაფა 6) გამოყენებით გამოვლინდა სხვაობა დღგ-ს ჩათვლით 9.3 ათასი ლარის ოდენობით.
- მე-9 პოზიციაში (მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტების მოწყობის სამუშაოებზე) ანალოგიური ნორმების (СНиП IV-2-82, კრებული N6, პარაგრაფი 5, ცხრილი 6-12, გრაფა 8) გამოყენებით გამოვლინდა სხვაობა დღგ-ს ჩათვლით 2.0 ათასი ლარის ოდენობით.
- მე-10 პოზიციაში (მონოლითური რკინა-ბეტონის რიგელების მოწყობის სამუშაოებზე) ანალოგიური ნორმების (СНиП IV-2-82, კრებული N6, პარაგრაფი 7, ცხრილი 6-15, გრაფა 2) გამოყენებით გამოვლინდა სხვაობა დღგ-ს ჩათვლით 0.3 ათასი ლარის ოდენობით.
- მე-11 პოზიციაში (მონოლითური რკინა-ბეტონის გადახურვის ფილის მოწყობის სამუშაოებზე) ანალოგიური ნორმების (СНиП IV-2-82, კრებული N6, პარაგრაფი 8, ცხრილი 6-16, გრაფა 5) გამოყენებით გამოვლინდა სხვაობა დღგ-ს ჩათვლით 13.2 ათასი ლარის ოდენობით.
- იმავე მე-11 პოზიციაში (საქვების მონოლითური რკინა-ბეტონის გადახურვის ფილის მოწყობის სამუშაოებზე) ანალოგიური ნორმების (СНиП IV-2-82, კრებული N6, პარაგრაფი 8, ცხრილი 6-16, გრაფა 5) გამოყენებით გამოვლინდა სხვაობა დღგ-ს ჩათვლით 0.2 ათასი ლარის ოდენობით.
- მე-13 პოზიციაში (მონოლითური რკინა-ბეტონის სარტყელის მოწყობის სამუშაოებზე) ანალოგიური ნორმების (СНиП IV-2-82, კრებული N6, პარაგრაფი 7, ცხრილი 6-15, გრაფა 10) გამოყენებით გამოვლინდა სხვაობა დღგ-ს ჩათვლით 0.7 ათასი ლარის ოდენობით.

სულ მონოლითური რკინაბეტონის სამუშაოებთან დაკავშირებით გამოვლინდა სხვაობები დაახლოებით 61.0 ათასი ლარის ოდენობით¹².

¹² თითოეულ პოზიციასთან დაკავშირებით დეტალური გაანგარიშება მოცემულია დანართში ელექტრონული სახით. გაანგარიშება წარმოადგენს დაახლოებით სხვაობებს. გამოყენებული მასალების (მათ შორის არმატურის) ზუსტი ოდენობის დადგენა შესაძლებელია ექსპერტიზის საშუალებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფორმა N2-ის სხვა პოზიციებში დაფიქსირებული მასალების და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებების შემოწმების მიზნით შპს „ერ-თი-ჯისგან“ შემსყიდველი ორგანიზაციის (მთავარი სამმართველო) საშუალებით გამოთხოვილი იქნა მასალების შესყიდვის და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტები შპს „ერ-თი-ჯის“ მიერ წარმოდგენილი არ იქნა. აღნიშნულის გამო ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

შპს „დამბასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N192

2010 წლის 9 ნოემბერს ტენდერში გამარჯვების საფუძველზე მთავარ სამმართველოსა და შპს „დამბას“ შორის სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება N192 ღირებულებით 1,145.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. სამუშაოები ჩაბარდა სამ ეტაპად: ა/ფ ბზ-04 1996983, 16.12.2010, თანდართული მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა N2) სამუშაოების ღირებულებით 343.5 ათასი ლარი; ა/ფ ბზ-04 1996985, 30.03.2011 თანდართული მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა N2) სამუშაოების ღირებულებით 722.0 ათასი ლარი და ა/ფ ბზ-04 1996986, 11.04.2011, თანდართული მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა N2) სამუშაოების ღირებულებით 74.8 ათასი ლარი. სულ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1,140.3 ათასი ლარი. ანგარიშსწორება განხორციელდა მთლიანად ავანსის სახით 2010 წლის 15 ნოემბერს - 343.5 ათასი ლარის ოდენობით და წლის ბოლოს 2010 წლის 22 დეკემბერს - 801.5 ათასი ლარის ოდენობით (სულ 1,145.0 ათასი ლარი), რაც მიზანშეუწონელია. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დროს საავანსო თანხის განსაზღვრისას პრაქტიკაში მიღებულია მაქსიმუმ 30%-იანი ნორმა. წლის ბოლოს დაუსაბუთებელი დიდი ოდენობის 100%-იანი ავანსის გადახდით განხორციელდა 2010 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით („არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით) გამოყოფილი ასიგნების ხელოვნურად ათვისება. აღნიშნული გადაწყვეტილება მიზანშეუწონელია და ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. საავანსოდ გადახდილ თანხასა და შესრულებული სამუშაოების ღირებულებას შორის სხვაობა (4.7 ათასი ლარი) შპს „დამბას“ მიერ დაბრუნებული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში 2011 წლის 28 აპრილს.

რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების ღირებულებებს, მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2-ები) შემოწმებით და „დამბას“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით (რომლებიც არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი იმ მოტივით, რომ ამოღებული ჰქონდა საქართველოს მთავარ პროკურატურას) გამოვლინდა, რომ ცალკეული პოზიციები განსხვავებულად იყო წარმოდგენილი. კერძოდ:

- ანგარიშ-ფაქტურაზე ბზ-04 1996983, 16.12.2010 თანდართული მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა N2) პირველ პოზიციაში (გრუნტის მოჭრა და დამუშავება ექსკავატორით ჩაძრის

მოცულობით 0.5მ³) ერთი მანქანა-საათის ღირებულება დაფიქსირებულია 170 ლარის ოდენობით, რაც არ შეესაბამება მშენებლობის შემფასებელთა კავშირის ცნობარების მონაცემებს (რასაც საფუძვლად ფორმა N2-ში მიუთითებს თვითონ შემსრულებელიც). აღნიშნული ცნობარების მიხედვით ანალოგიურ შემთხვევაში ექსკავატორის გამოყენებისას ერთი მანქანა-საათის ღირებულება შეადგენს 54.5 ლარს, ანუ 115.5 ლარით ნაკლებს. 138.9 კაც/საათზე გაანგარიშებით სხვაობა ფორმა N2-ში დაფიქსირებულსა და ცნობარების მონაცემებით გაანგარიშებულ ღირებულებებს შორის შეადგენს 16.0 ათას ლარს დანარიცხების გარეშე. დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები 8%, მოგება 3% და დღგ 18%) სხვაობა შეადგენს 21.0 ათას ლარს.

- ანგარიშ-ფაქტურაზე ბბ-04 1996985, 30.03.2011 თანდართული მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა N2) მე-11 პოზიციაში (ალუმინის ვიტრაჟის - კალპაკ სისტემის მოწყობის სამუშაოები) შრომის დანახარჯი 946მ²-ის მოწყობაზე დაფიქსირებულია ჯამურად 53.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მასალების დანახარჯი - 189.2 ათასი ლარის ოდენობით. სულ აღნიშნულ სამუშაოებზე ხარჯი დაფიქსირებულია 242.6 ათასი ლარის ოდენობით დანარიცხების გარეშე. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით გამოვლინდა აღნიშნული სამუშაოები შესრულებული აქვს ქვეკონტრაქტორს - შპს „ფასადმშენი“-ს, რომელთანაც შპს „დამბას“ 2010 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება (უნომრო). აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით შპს „ფასადმშენი“-მა შეასრულა ალუმინის კალპაკ სისტემის დამზადება-მონტაჟის სამუშაოები 1მ² - 162 დოლარის ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით. 2011 წლის 14 მარტით დათარიღებულ მიღება-ჩაბარების აქტში (ასევე უნომრო, რომელსაც ადასტურებს ორივე მხარე - შპს „დამბა“ და შპს „ფასადმშენი“) დაფიქსირებულია, რომ შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 900 მ² (და არა 946 მ², როგორც მთავარ სამმართველოს წარმოუდგინა შპს „დამბამ“), ხოლო სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 145.8 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით. იმ პერიოდისთვის არსებული საშუალო კურსის (1.73ლარი/1აშშ დოლარი) მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 252.2 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო დღგ-ს გარეშე - 213.7 ათასი ლარი. მოქმედი ნორმებისა და წესების მიხედვით¹³ პირდაპირი ხარჯები თვითღირებულების შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად ფორმა N2-ებში ჩადებული უნდა იყოს თვითღირებულებით (მათ შორის ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოებიც). ზემოაღნიშნული სამუშაოები ფორმა N2-ებში ჩადებული არ არის ამ პრინციპის დაცვით. სხვაობა შეადგენს 28.9 ათას ლარს დანარიცხების გარეშე (242.6-213.7). დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები 8%, მოგება 3% და დღგ 18%) სხვაობა შეადგენს 37.9 ათას ლარს.
- იმავე მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა N2) 26-ე პოზიციაში (ალუმინის ჟალუზების მოწყობის სამუშაოები) შრომის დანახარჯი 185 მ²-ის მოწყობაზე დაფიქსირებულია ჯამურად 9.2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მასალების დანახარჯი - 21.1 ათასი ლარის ოდენობით. სულ აღნიშნულ სამუშაოებზე ხარჯი დაფიქსირებულია 30.3 ათასი ლარის

¹³ СНиП IV-8-84, 1-ლი თავის 1.1 და 1.2 პუნქტების მიხედვით.

ოდენობით დანარიცხების გარეშე. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით გამოვლინდა აღნიშნული სამუშაოებიც შესრულებული აქვს იმავე ქვეკონტრაქტორს - შპს „ფასადმშენი“-ს. იმავე ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით შპს „ფასადმშენი“-მა შეასრულა ასევე ალუმინის ჟალუზების დამზადება-მონტაჟის სამუშაოები 1მ² - 90 დოლარის ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით. შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებულია, რომ შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 98.56 მ², ხოლო სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 8.9 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით. იმ პერიოდისთვის არსებული საშუალო კურსის (1.73ლარი/1აშშ დოლარი) მიხედვით შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 15.4 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო დღგ-ს გარეშე - 13.0 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 17.3 ათას ლარს დანარიცხების გარეშე (30.3-13.0). დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები 8%, მოგება 3% და დღგ 18%) სხვაობა შეადგენს დაახლოებით 22.7 ათას ლარს.

ზემოაღნიშნულ პოზიციებთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სხვაობების ჯამმა შეადგინა 81.6 ათასი ლარი¹⁴. სხვა პოზიციებთან დაკავშირებით დოკუმენტები არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი.

შპს „დამბასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N163

2011 წლის 4 ივლისს ელექტრონულ ტენდერში (SPA110014119) გამარჯვების საფუძველზე მთავარ სამმართველოსა და შპს „დამბას“ შორის სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება N163 ღირებულებით 2,441.6 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. სატენდერო კომისიის 2011 წლის 21 ოქტომბრის N8 და 20 დეკემბრის N10 სხდომების ოქმების საფუძველზე ურთიერთშეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 149.3 ათასი ლარით (ორ ეტაპად - 106.8 ათასი ლარით და 42.5 ათასი ლარით) და შეადგინა 2,590.9 ათასი ლარი. სამუშაოების ღირებულების გაზრდის საფუძველად მოტანილია დამატებითი სამუშაოების განხორციელება, რაც გამოიწვია ობიექტის პროექტის (რომელიც მოამზადა შპს „მშენ-ექსპერტმა“) ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე განხორციელებულმა ცვლილებამ. კერძოდ, დასკვნის საფუძველზე შეიცვალა სეისმომდებლობა და 8 ბალის ნაცვლად განისაზღვრა 9 ბალით (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 5 ივლისის N5-012497-2011 წერილით გაგზავნილი N008714-2011/03 დასკვნა). გაურკვეველია, თუ რატომ გამოაცხადა მთავარმა სამმართველომ ტენდერი პროექტის საფუძველზე, რომელიც გაგზავნილი იყო ექსპერტიზაზე და დასკვნა ჯერ მიღებული არ იყო. ხოლო დასკვნის მიღების

¹⁴ დეტალური გაანგარიშება მოცემულია დანართში ელექტრონული სახით.

შემდეგ (ხელშეკრულების გაფორმების მეორე დღეს) მთავარი სამმართველო ვალდებული იყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით¹⁵ არ გაეზარდა სახელშეკრულებო ღირებულება, შემსრულებლის არ დათანხმების შემთხვევაში შეეწყვიტა ხელშეკრულება და გამოეცხადებინა ახალი ტენდერი შეცვლილი საპროექტო მონაცემების მიხედვით.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მთავარი სამმართველოს მიერ ეტაპობრივად გადახდილი იქნა 2,590.9 ათასი ლარი (ჩილერის ღირებულების და მონტაჟის ჩათვლით).

მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2) დაფიქსირებულ სამუშაოთა ღირებულებების შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი:

- 2011 წლის 27 დეკემბრის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტზე თანდართული ფორმა N2-ის (სამშენებლო სამუშაოები - ღირებულებით 1,932.9 ათასი ლარი) 55-ე პოზიციაში დაფიქსირებული სამუშაოს (მინის ლიფტის მოწყობა მინის შახტით) ღირებულება ნაჩვენებია 180.0 ათასი ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით. შპს „დამბას“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით გამოვლინდა, რომ აღნიშნული სამუშაოები შესრულებული აქვს ქვეკონტრაქტორებს, კერძოდ: პანორამული ლიფტის მონტაჟი შეასრულა შპს „მ.ე.ლ.გ.“-მ (2011 წლის 18 აგვისტოს უნომრო ხელშეკრულება), რისთვისაც მას შპს „დამბამ“ გადაუხადა 90.0 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. ხოლო ლიფტის შახტის შემინვის სამუშაოები შესრულებული აქვს შპს „ფასადმშენი“-ს (2011 წლის 1 აგვისტოს უნომრო ხელშეკრულება და 2011 წლის 15 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტი N2), რისთვისაც მას შპს „დამბამ“ გადაუხადა 12.2 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით (სულ 144მ², 1მ² - 85 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), რაც იმ დროისთვის არსებული კურსის (1.6576ლარი/1აშშ დოლარი) მიხედვით შეადგენდა 20.3 ათას ლარს. სულ ლიფტის მონტაჟის ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 110.3 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. სხვაობა ფორმა N2-ში დაფიქსირებულსა და ფაქტობრივ ღირებულებას შორის შეადგენს 69.7 ათას ლარს.
- იმავე ფორმა N2-ის 27-ე პოზიციაში ალუმინის ვიტრაჟის - კალპაკ სისტემის მოწყობის სამუშაოებზე პირდაპირი ხარჯი დაფიქსირებულია 310.1 ათასი ლარის ოდენობით დანარიცხების გარეშე (სულ 1570მ², 1მ² - 197.5 ლარი). როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა აღნიშნული სამუშაოებიც შესრულებული აქვს იმავე ქვეკონტრაქტორს - შპს „ფასადმშენი“-ს. იმავე ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტების (N1 და N2) მიხედვით შპს „ფასადმშენი“-მა შეასრულა 1570მ² ალუმინის კალპაკ სისტემის დამზადება-მონტაჟის სამუშაოები (ფასით 1მ² - 125 დოლარის ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით). შესაბამისად სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 196.2 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით. იმ პერიოდისთვის

¹⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

არსებული კურსის (1.6576ლარი/1აშშ დოლარი) მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 325.3 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო დღგ-ს გარეშე - 275.7 ათასი ლარი. სხვაობა ფორმა N2-ში დაფიქსირებულსა და ფაქტობრივ ღირებულებას შორის შეადგენს დაახლოებით 34.4 ათას ლარს დანარიცხების გარეშე (310.1-275.7). დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები 6.96%, მოგება 1% და დღგ 18%) სხვაობა შეადგენს 43.8 ათას ლარს.

- იმავე ფორმა N2-ის 28-ე პოზიციაში ალუმინის მინიპაკეტის ტიხრების მოწყობის სამუშაოებზე პირდაპირი ხარჯი დაფიქსირებულია 23.8 ათასი ლარის ოდენობით დანარიცხების გარეშე (სულ 170მ², 1მ² - 140 ლარი). როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა აღნიშნული სამუშაოებიც შესრულებული აქვს იმავე ქვეკონტრაქტორს - შპს „ფასადმშენი“-ს. იმავე ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტის (N2) მიხედვით შპს „ფასადმშენი“-მა შეასრულა 170მ² ალუმინის მინიპაკეტის ტიხრების სამუშაოები (ფასით 1მ² - 67 დოლარის ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით). შესაბამისად სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 11.4 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით. იმ პერიოდისთვის არსებული კურსის (1.6576ლარი/1აშშ დოლარი) მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 18.9 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო დღგ-ს გარეშე - 16.0 ათასი ლარი. სხვაობა ფორმა N2-ში დაფიქსირებულსა და ფაქტობრივ ღირებულებას შორის შეადგენს დაახლოებით 7.8 ათას ლარს დანარიცხების გარეშე (23.8-16.0). დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები 6.96%, მოგება 1% და დღგ 18%) სხვაობა შეადგენს 9.9 ათას ლარს.

ზემოაღნიშნულ პოზიციებთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სხვაობების ჯამმა შეადგინა 123.4 ათასი ლარი. სხვა პოზიციებთან დაკავშირებით დოკუმენტები არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი.

შპს „ბლოკ-ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N203

2010 წლის 15 ნოემბერს ტენდერში გამარჯვების საფუძველზე მთავარ სამმართველოსა და შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ შორის სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება N203 ღირებულებით 2,877.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. 2011 წლის 23 სექტემბრის დასრულებული შენობა-ნაგებობის საბოლოო მიღება-ჩაბარების ოქმის და მასზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის (ფორმა N2) მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2,875.9 ათასი ლარი. აღნიშნული ღირებულებიდან კერძო პირების მიერ გადახდილი იქნა 377.0 ათასი ლარი (მოქალაქე რ. აწკარუნაშვილი - 150.0 ათასი ლარი, მოქალაქე ბ. ქრისტესიაშვილი - 223.0 ათასი ლარი, შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ 4.0 ათასი ლარის სამუშაოები გადაცემული იქნა უსასყიდლოდ), ხოლო დანარჩენი თანხა გადახდილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კერძოდ,

2,500.0 ათასი ლარი ავანსის სახით 2010 წლის 15 დეკემბერს ჩარიცხული იქნა შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ ანგარიშზე, საიდანაც 1.1 ათასი ლარი დაბრუნებული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში. ზემოაღნიშნული შემთხვევის მსგავსად (შპს „დამბა“) წლის ბოლოს დაუსაბუთებლად დიდი ოდენობით 100%-იანი ავანსის გადახდა მიზანშეუწონელია და 2010 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით („არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით) გამოყოფილი ასიგნების ხელოვნურ ათვისებას განაპირობებს.

მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2) დაფიქსირებულ სამუშაოთა ღირებულებების შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი:

სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ შესრულებული აქვს ქვეკონტრაქტორების საშუალებით. მათ შორის: მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასის მშენებლობის სამუშაოები, მიწის სამუშაოები, ალუმინის მოაჯირის მოწყობის სამუშაოები და სხვა.

ფორმა N2-ებში (რომლებზეც სამუშაოების განფასების საფუძვლებად მითითებულია СНиП IV-2-82, კრებული N6-ის შესაბამისი ცხრილები) მონოლითური რკინა-ბეტონის სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების ღირებულებები არ იყო შესაბამისობაში მითითებულ ნორმებთან. კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების ლოკალური ხარჯთაღრიცხვის მე-3 პოზიციაში (მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკვლის ფილის მოწყობის სამუშაოები) ერთეულის (1მ³) მოწყობაზე შრომის ანაზღაურების ღირებულება მითითებულია 84 ლარის ოდენობით დანარიცხების გარეშე. სულ 396 მ³ სამუშაოების შრომის ანაზღაურების ღირებულება დაფიქსირებულია 33.3 ათასი ლარის ოდენობით დანარიცხების გარეშე. შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ განფასების საფუძვლად გამოყენებული მოქმედი ნორმების (СНиП IV-2-82, კრებული N6, პარაგრაფი 1, ცხრილი 6-1, გრაფა 17) მიხედვით აღნიშნული სახის სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების ნორმა 1მ³-ზე შეადგენს 2.42 კაც/საათს. მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მონაცემებით 1 კაც/საათის საშუალო საბაზრო ღირებულება შეადგენდა 4.6 ლარს. მაქსიმალური საბაზრო ფასის მიხედვით (7.81 ლარი) კი 1მ³-ის მოწყობაზე შრომის ანაზღაურების ღირებულება იქნება 18.9 ლარი. სულ 396 მ³ საძირკვლის ფილის მოწყობის სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების დაახლოებითი ღირებულება იქნება 7.5 ათასი ლარი დანარიცხების გარეშე. სხვაობა შეადგენს 25.8 ათას ლარს. დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები 10%, მოგება 8% და დღგ 18%) სხვაობა შეადგენს 36.1 ათას ლარს.
- ანალოგიურად, სამშენებლო სამუშაოების ლოკალური ხარჯთაღრიცხვის მე-4 პოზიციაში (მონოლითური რკ/ბეტონის ცოკოლის კედლის მოწყობის სამუშაოები) ერთეულის (1მ³) მოწყობაზე შრომის ანაზღაურების ღირებულება მითითებულია 84 ლარის ოდენობით დანარიცხების გარეშე. ფორმა N2-ში მითითებული მოქმედი ნორმების (СНиП IV-2-82,

კრებული N6, პარაგრაფი 4, ცხრილი 6-11, გრაფა 3) გამოყენებით სულ 99.5 მ³ სამუშაოებზე გამოვლინდა სხვაობა დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები 10%, მოგება 8% და დღგ 18%) 2.5 ათასი ლარის ოდენობით.

- [illegible]

მონოლითური რკინაბეტონის სამუშაოებზე სხვაობამ ჯამურად შეადგინა 57.5 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული სხვაობების დეტალური გაანგარიშება მოცემულია დანართში ელექტრონული სახით¹⁶.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვაობები გამოვლინდა ასევე ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივ ღირებულებასა და მთავარ სამმართველოსთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2) დაფიქსირებულ ღირებულებებს შორის. კერძოდ:

- მიწის სამუშაოები შესრულებული აქვს ქვეკონტრაქტორ შპს „ჰიდროსერვისს“ (2010 წლის 15 ნოემბრის N104-02/10 ხელშეკრულება და მიღება ჩაბარების აქტი), რომელმაც 4500 მ³ მიწის სამუშაოები შეასრულა 26.7 ათას ლარად დღგ-ს გარეშე (31.5 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით). აღნიშნული სამუშაოების ღირებულება შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ ფორმა N2-ში ჩადებულია 31.9 ათასი ლარის ოდენობით დანარიცხების გარეშე (გაზრდილადაა წარმოდგენილი ასევე სამუშაოების მოცულობაც - 4560 მ³). სხვაობა დანარიცხების გარეშე შეადგენს 5.2 ათას ლარს. დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები 10%, მოგება 8% და დღგ 18%) სხვაობა შეადგენს 7.3 ათას ლარს.
- ალუმინის მოაჯირების მონტაჟი შესრულებული აქვს ქვეკონტრაქტორ შპს „Unicom“-ს (2011 წლის 1 ივლისის უნომრო ხელშეკრულება და მიღება ჩაბარების აქტი), რომელმაც 121.4 გრძ/მ მოაჯირის მონტაჟი (საკუთარი მასალით, ინსტრუმენტებით) შეასრულა 8.5 ათას ლარად დღგ-ს გარეშე (10.1 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით). აღნიშნული სამუშაოების ღირებულება შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ ფორმა N2-ში ჩადებულია 17.2 ათასი ლარის ოდენობით დანარიცხების გარეშე. სხვაობა დანარიცხების გარეშე შეადგენს 8.7 ათას ლარს. დანარიცხების გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს 12.2 ათას ლარს.
- სხვაობები გამოვლინდა ასევე მასალების და მოწყობილობის ფაქტობრივ ღირებულებასა და მთავარ სამმართველოსთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2) დაფიქსირებულ ღირებულებებს შორის. კერძოდ:
- სამშენებლო სამუშაოების ლოკალური ხარჯთაღრიცხვის მე-16 პოზიციაში 1მ² კერამოგრანიტის ღირებულებად დაფიქსირებულია 17 ლარი დანარიცხების გარეშე. სულ 2027 მ² კერამოგრანიტის ღირებულება დაფიქსირებულია 34.5 ათასი ლარის ოდენობით. წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების და სასაქონლო ზედნადებების მიხედვით 1მ² კერამოგრანიტის ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 13.56 ლარი დღგ-ს გარეშე (16 ლარი დღგ-ს ჩათვლით), შესაბამისად მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 27.5 ათასი ლარი

¹⁶ შედარებისთვის: იმავე შპს „ბლოკ-ჯორჯიასთან“ მთავარი სამმართველოს მიერ გაფორმებული 2010 წლის 2 ივლისის N104 ხელშეკრულების ფარგლებში (ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები) წარმოდგენილი ფორმა N2-ის მიხედვით მონოლითური რკინა-ბეტონის ანალოგიურ სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების ოდენობა დაფიქსირებულია 25-50 ლარის ოდენობით 1მ³-ზე (ნაცვლად 84-200 ლარისა 1მ³-ზე).

დღგ-ს გარეშე. სხვაობა დანარიცხების გარეშე შეადგენს 7.0 ათას ლარს. დანარიცხების გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს 9.8 ათას ლარს.

- გათბობა-გაგრილების სამუშაოების ლოკალური ხარჯთაღრიცხვის პირველ პოზიციაში 2 კომპლექტი ჩილერის ღირებულებად დაფიქსირებულია 119.0 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე (ერთი კომპლექტი - 59.5 ათასი ლარი). წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის და სასაქონლო ზედნადების მიხედვით აღნიშნული 2 კომპლექტი ჩილერი შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ შეძენილი აქვს შპს „გაბ ჯგუფისგან“ 107.3 ათას ლარად დღგ-ს გარეშე (ერთი კომპლექტი - 53.7 ათას ლარად). სხვაობა დღგ-ს გარეშე შეადგენს 11.7 ათას ლარს. დღგ-ს ჩათვლით სხვაობა შეადგენს 13.8 ათას ლარს.

სულ აღნიშნული ხელშეკრულების (N203) ფარგლებში სხვაობების ჯამმა შეადგინა 100.6 ათასი ლარი.

შპს „ბლოკ-ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N104

2010 წლის 2 ივლისს ტენდერში გამარჯვების საფუძველზე მთავარ სამმართველოსა და შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ შორის სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება N104 ღირებულებით 1,680.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდან-ნაძალადევის სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და მასზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის (ფორმა N2) მიხედვით შეადგინა 1,848.6 ათასი ლარი. მთავარი სამმართველოს მიერ გადახდილია 1,848.0 ათასი ლარი, ხოლო 0.6 ათასი ლარის სამუშაოები შესრულებულია უსასყიდლოდ.

საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა N2 - კონდიცირების სისტემის მოწყობის ლოკალური ხარჯთაღრიცხვა) დაფიქსირებულია ერთი ერთეული 500 კვტ სიმძლავრის ჩილერის მონტაჟის სამუშაო, რომელშიც დანადგარის ღირებულება დაფიქსირებულია 119.8 ათასი ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე. წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით (ა/ფ ბზ-01 6693156, 28.12.2010 და სასაქონლო ზედნადები Nს/03438, 19.12.2010) მიწოდებულია 2 ერთეული ჩილერი სიმძლავრით თითოეული 250 კვტ, რომლებიც შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ შეძენილი აქვს შპს „გაბ ჯგუფისგან“ თითოეული 63.3 ათას ლარად დღგ-ს ჩათვლით - სულ 126.6 ათას ლარად (დღგ-ს გარეშე 107.3 ათასი ლარი). სხვაობა ფორმა N2-ში ნაჩვენებ და ფაქტობრივ ღირებულებას შორის შეადგენს 12.5 ათას ლარს დღგ-ს გარეშე. დღგ-ს ჩათვლით სხვაობა შეადგენს 14.7 ათას ლარს.

შპს „გრუსიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N51

2012 წლის 30 იანვარს შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის IX განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით მთავარმა სამმართველომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120003416) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,500.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „გრუსიამ“, რომელთანაც ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2012 წლის 9 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N51 ღირებულებით 1,493.0 ათასი ლარი. 2012 წლის 25 ოქტომბრის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და თანდართული ფორმა N2-ის მიხედვით ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1,541.2 ათასი ლარი (შპს „გრუსიაზე“ გადაცემული მეორადი მასალების ღირებულების - 0.3 ათასი ლარის გამოკლებით). მთავარი სამმართველოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებიდან შპს „გრუსიასთვის“ ეტაპობრივად გადახდილია ჯამურად 895.4 ათასი ლარი, სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას პირობებით გამოცხადებულ აუქციონებში გამარჯვებული პირების მიერ თანადაფინანსებით¹⁷ გადახდილია ჯამურად 597.3 ათასი ლარი, ხოლო 48.6 ათასი ლარის სამუშაოები შპს „გრუსიას“ მიერ უსასყიდლოდ იქნა შესრულებული.

ზემოაღნიშნულის (შპს „ერ-თი-ჯი“) ანალოგიურად, ფორმა N2 შედგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით (СНП 1.02.01-85, დანართი 14, ფორმა N6). კერძოდ, მასში ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის პირდაპირი ხარჯები (მასალების, შრომის და მანქანა-მექანიზმების ღირებულებები). ასევე პირდაპირი ხარჯებისგან გამიჯნული არ არის დარიცხული ზედნადები ხარჯები და დარიცხული მოგება, რის გამოც გაურკვეველია დანარიცხების პროცენტული ოდენობა. აქედან გამომდინარე სამუშაოთა ერთეულების ღირებულებები წარმოდგენილია გაერთიანებულად პირდაპირ ხარჯებთან და დანარიცხებთან ერთად.

გარდა ამისა, ფორმა N2-ში მითითებულ სამუშაოთა ღირებულებების შემოწმებით გამოვლინდა, რომ მონოლითური რკინა-ბეტონის სამუშაოების ღირებულებები არ იყო განფასებული მოქმედი ნორმების შესაბამისად. კერძოდ:

- III თავის პირველ პოზიციაში (მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკვლის ფილის და წიბოს მოწყობის სამუშაოები) ერთეულის (1მ³) ღირებულება ზემოაღნიშნული პრინციპით (დანარიცხების გათვალისწინებით დღგ-ს გარეშე) დაფიქსირებულია 257.0 ლარის ოდენობით არმატურის ღირებულების გარეშე (რომელიც ცალკე პოზიციად არის შეტანილი). სულ 421 მ³ სამუშაოების ღირებულება დაფიქსირებულია 108.2 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (СНП IV-2-82, კრებული N6, პარაგრაფი 1, ცხრილი 6-1, გრაფა 16) აღნიშნული სახის სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების ნორმა 1მ³-ზე შეადგენს 1.87 კაც/საათს. მშენებლობის შემფასებელთა

¹⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 23 აპრილის N277 ბრძანების საფუძველზე.

კავშირის მონაცემებით 1 კაც/საათის საშუალო საბაზრო ღირებულება შეადგენდა 4.6 ლარს. მაქსიმალური საბაზრო ფასის მიხედვით (7.81 ლარი) კი მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკვლის ფილის 1მ³-ს მოწყობის სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების მაქსიმალური ღირებულება მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდისთვის შეადგენდა დაახლოებით 14.6 ლარს. წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით 1მ³ ბეტონის ღირებულებამ დღგ-ს გარეშე შეადგინა 116 ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკვლის ფილის მოწყობის სამუშაოების 1მ³-ის ღირებულებამ არმატურის ღირებულების გამოკლებით სულ შეადგინა 130.6 ლარი (14.6+116) დანარიცხების გარეშე. პრაქტიკაში არსებული დანარიცხების მაქსიმალური ნორმების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები - 10%, მოგება - 8%) ზემოაღნიშნული სამუშაოების 1მ³-ის დაახლოებითმა ღირებულებამ შეადგინა 155.2 ლარი დღგ-ს გარეშე. რაც 421 მ³-ზე გაანგარიშებით იქნება დაახლოებით 65.3 ათასი ლარი. სხვაობა ფორმა N2-ში დაფიქსირებულსა და ნორმების მიხედვით განფასებულ ღირებულებას შორის შეადგენს 42.9 ათას ლარს (108.2-65.3) დღგ-ს გარეშე. დღგ-ს ჩათვლით სხვაობა შეადგენს დაახლოებით 50.6 ათას ლარს.

- III თავის მე-2 პოზიციაში (მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის მოწყობის სამუშაოებზე) ანალოგიური ნორმების (СНП IV-2-82, კრებული N6, პარაგრაფი 8, ცხრილი 6-11, გრაფა 1) გამოყენებით გამოვლინდა სხვაობა დღგ-ს ჩათვლით 14.2 ათასი ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, ფორმა N2-ში კონდიცირების დანადგარების განყოფილების პირველ პოზიციაში ერთი ერთეული 320 კვტ სიმძლავრის ჩილერის ღირებულება დაფიქსირებულია 65.3 ათასი ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე. წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით (სასაქონლო ზედნადები ელ-0015098712, 26.06.2012) მიწოდებულია 2 ერთეული ჩილერი სიმძლავრეებით 130 კვტ და 200 კვტ, რომლებიც შპს „გრუსიას“ შეძენილი აქვს შპს „MAGNIUM“-გან ჯამურად 66.9 ათას ლარად (დღგ-ს გარეშე 56.7 ათასი ლარი). სხვაობა ფორმა N2-ში ნაჩვენებ და ფაქტობრივ ღირებულებას შორის შეადგენს 8.6 ათას ლარს დღგ-ს გარეშე. დღგ-ს ჩათვლით სხვაობა შეადგენს 10.1 ათას ლარს. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში სხვაობების ჯამმა შეადგინა სულ 74.9 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული სხვაობების დეტალური გაანგარიშება მოცემულია დანართში ელექტრონული სახით.

შპს „მემონტაჟი ნიკასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

2012 წლის 30 იანვარს მთავარმა სამმართველომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120003415) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,400.0 ათასი ლარი. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს „მემონტაჟი ნიკამ“

(რომელმაც დააფიქსირა სატენდერო წინადადების ფასი - 1,400.0 ათასი ლარი) და სს „მონოლითმშენი“ (სატენდერო წინადადების ფასი - 1,341.2 ათასი ლარი). სატენდერო კომისიის 2012 წლის 28 თებერვლის N4 სხდომის ოქმის მიხედვით დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე სს „მონოლითმშენი“ დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ თითქოს მან ვერ წარმოადგინა 2010-2011 წლების განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები 5,000.0 ათას ლარზე, ასევე ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მოცულობები არ შეესაბამებოდა პროექტით გათვალისწინებულ მოცულობებს. შედეგად 2012 წლის 16 მარტს მთავარ სამმართველოსა და შპს „მემონტაჟე ნიკას“ შორის ტენდერში გამარჯვების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება N62 ზემოაღნიშნული ობიექტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 1,387.9 ათასი ლარი¹⁸. 2012 წლის 31 ივლისის და შემდეგ 11 სექტემბრის ურთიერთშეთანხმების ოქმების საფუძველზე სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 1,411.2 ათას ლარამდე. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1,402.2 ათასი ლარი, რომელიც ეტაპობრივად გადახდილი იქნა.

ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების პროცესში მთავარი სამმართველოს მიერ უზრუნველყოფილი არ არის საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა შემდეგი გარემოებების გამო:

- დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მან ვერ წარმოადგინა 2010-2011 წლების განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები 5,000.0 ათას ლარზე, რაც არ შეესაბამება რეალობას. სს „მონოლითმშენის“ მიერ წარმოდგენილი იქნა 2010 წლის განმავლობაში სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები ჯამურად 3,029.4 ათას ლარზე და 2011 წლის განმავლობაში სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები ჯამურად 1,997.3 ათას ლარზე. წარმოდგენილი იქნა სულ 5,026.7 ათასი ლარის სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (იხილე დანართი). ზემოაღნიშნული დოკუმენტები სს „მონოლითმშენის“ მიერ ატვირთულია ელექტრონულად სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე. ამასთან წერილით (შემოსვლის N247535, 24.02.2014) დააზუსტა, რომ ბანერების მოწყობის სამუშაოები მოიცავდა მხოლოდ მონოლითური რკინა-ბეტონის სამუშაოებს და წარმოადგინა დამამტკიცებელი ფორმა N2. რაც შეეხება ხარჯთაღრიცხვაში მითითებული გარკვეული მოცულობების შეუსაბამობას პროექტით გათვალისწინებულ მოცულობებთან, აღნიშნულის დაზუსტება არ წარმოადგენდა პრობლემას პრეტენდენტისთვის შესაბამისი წინადადებით მიმართვის შემთხვევაში, რადგან როგორც შემოწმებით გაირკვა, უზუსტობები იყო უმნიშვნელო და რაოდენობრივად მცირე. ამასთან ერთად შპს „მემონტაჟე ნიკას“ მიერ ვებგვერდზე ატვირთულია 2010-2011 წლებში

¹⁸ სატენდერო წინადადების ღირებულება შემცირებული იქნა წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაზე ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე 12.1 ათასი ლარით.

შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი 5,141.2 ათას ლარზე რეესტრის სახით, ხოლო მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ატვირთულია მხოლოდ ნაწილობრივ - 3,248.5 ათას ლარზე. აღნიშნული გარემოება არ იძლევა რწმუნებას შესრულებული სამუშაოების მოცულობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, შპს „მემონტაჟე ნიკა“ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა კანონმდებლობის დარღვევით¹⁹, რის შედეგადაც ხელშეკრულება გაფორმდა 46.7 ათასი ლარით მაღალი ღირებულებით (1,387.9-1,341.2).

გარდა ამისა, მიზანშეუწონელია სატენდერო დოკუმენტაციით ისეთი მოთხოვნის განსაზღვრა, როგორიცაა აუცილებლად ბოლო ორი წლის განმავლობაში 5000.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოთა შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა მაშინ, როცა პრაქტიკაში საბიუჯეტო ორგანიზაციები სარგებლობენ 3-5 წლის პერიოდის მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნით. ზემოაღნიშნული შეზღუდვა ბუნებრივია ხელს უშლის ჯანსაღ კონკურენციას, რის შედეგადაც ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორმა პრეტენდენტმა. მეტი პრეტენდენტის მონაწილეობის შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასის კლება დიდი ალბათობით უფრო მეტი იქნებოდა.

ანალოგიურად, ელექტრონულ ტენდერში (SPA110033007) გამარჯვების საფუძველზე მთავარ სამმართველოსა და შპს „მემონტაჟე ნიკას“ შორის 2012 წლის 15 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N35 ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის III განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 895.7 ათასი ლარით. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 856.2 ათასი ლარი. ზემოაღნიშნულის ანალოგიურად სატენდერო დოკუმენტაციით ამ ტენდერშიც მოთხოვნილი იყო ბოლო ორი წლის (2010-2011 წლები) განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები 5,000.0 ათას ლარზე. შედეგად ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა პრეტენდენტმა, რომელმაც გაიმარჯვა კონკურენციის და ფასის კლების გარეშე.

აუდიტის პერიოდში შპს „მემონტაჟე ნიკას“ შესრულებული აქვს ასევე ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VIII განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები 2010 წლის 9 ნოემბრის N194 ხელშეკრულების ფარგლებში. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 849.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ - 798.9 ათასი ლარი.

¹⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნის უგულებელყოფით.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში ფორმა N2-ებში ნაჩვენებ სამუშაოთა ერთეულების ღირებულებების რეალობის შემოწმებისას წარმოიშვა ეჭვი, რომ ცალკეული პოზიციები გაზრდილი ოდენობით იყო წარმოდგენილი. საკითხის გარკვევის მიზნით შპს „მემონტაჟ ნიკასგან“ შემსყიდველი ორგანიზაციის საშუალებით მოთხოვნილი იქნა მასალების შესყიდვის და ქვექონტრაქტორების მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტები. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობის²⁰ უგულებელყოფით დოკუმენტები წარმოდგენილი არ იქნა. ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

შპს „ელექტრო მონტაჟ სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

2010 წლის 3 დეკემბერს ტენდერში გამარჯვების საფუძველზე მთავარ სამმართველოსა და შპს „ელექტრო მონტაჟ სერვისს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N234 ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 3,349.0 ათასი ლარით. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 3,280.5 ათასი ლარი.

საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და მასზე თანდართული ფორმა N2-ების შემოწმებით გამოვლინდა, რომ მიწის სამუშაოების ღირებულება არ იყო განფასებული მოქმედი ნორმების შესაბამისად. კერძოდ, N1 ლოკალური ხარჯთაღრიცხვის (პოლიციის სამმართველოს მშენებლობა) პირველ პოზიციაში (გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ჩამჩის მოცულობით 0.5მ³) მითითებულია 8.96 ათასი მ³ მიწის სამუშაო ღირებულებით 62.7 ათასი ლარი დანარიცხების გარეშე. 1.0 ათასი მ³ მიწის დამუშავების ღირებულება ნაჩვენებია 7.0 ათასი ლარის ოდენობით (შრომის ანაზღაურება - 1.0 ათასი ლარი, მანქანა-მექანიზმები - 6.0 ათასი ლარი). საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (СНП IV-2-82, კრებული N1, პარაგრაფი 1, ცხრილი 1-11, გრაფა 18) 0.5მ³ ტევადობის ჩამჩის მქონე (როგორც ფორმა N2-შია მითითებული) ექსკავატორით გრუნტის დამუშავებისას შრომის დანახარჯის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 34 კაც/საათს 1000მ³ გრუნტზე (სულ 8.96 ათას მ³-ზე - 304.64 კაც/საათი), ხოლო მანქანა-მექანიზმების მაქსიმალური დანახარჯი შეადგენს 76.2 მანქანა/საათს 1000მ³ გრუნტზე (სულ 8.96 ათას მ³-ზე - 682.75 მანქანა/საათი). კაც/საათისა და მანქანა-საათის მაქსიმალური საბაზრო ფასების გამოყენებით (შესაბამისად 7.81 ლარი/კაც-საათი და 54.5 ლარი/მანქანა-საათი) აღნიშნული სამუშაოების მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 39.6 ათას ლარს (304.64*7.81+682.75*54.5). სხვაობა დანარიცხების გარეშე შეადგენს 23.1 ათას ლარს (62.7-39.6). დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები - 8%, მოგება - 8%, დღგ - 18%) სხვაობა შეადგენს 31.8 ათას ლარს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ფორმა N2-ების სხვა პოზიციების ღირებულებების რეალობის შემოწმების მიზნით შპს „ელექტრო მონტაჟ სერვისისგან“

²⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 221-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა.

შემსყიდველი ორგანიზაციის საშუალებით მოთხოვნილი იქნა მასალების შესყიდვის და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტები. კანონმდებლობის უგულებელყოფით დოკუმენტები წარმოდგენილი არ იქნა. ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

ელექტრონულ ტენდერში (SPA110014162) გამარჯვების საფუძველზე 2011 წლის 28 ივლისს მთავარ სამმართველოსა და „ელექტრო მონტაჟ სერვისს“ შორის გაფორმდა აგრეთვე ხელშეკრულება N179 ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის VI განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 854.5 ათასი ლარით. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 797.5 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებშიც მიმწოდებლისგან გამოთხოვილი იქნა მასალების შესყიდვის და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტები. დოკუმენტები წარმოდგენილი არ იქნა. ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

შპს „ელექტროობისა და განათების კომპანიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2010 წლის 17 დეკემბერს მთავარ სამმართველოსა და შპს „ელექტროობისა და განათების კომპანიას“ შორის ტენდერში გამარჯვების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება N275 სახელმწიფო შესყიდვაზე. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის ელმომარაგების მიზნით კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის მოწყობის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 52.0 ათასი ლარით, რომელიც ავანსად იქნა გადახდილი 2010 წლის 22 დეკემბერს. სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში დარიცხული ზედნადები ხარჯები განსაზღვრული იყო 4%-ის ოდენობით, ხოლო მოგება 4.9%-ის ოდენობით. 2011 წლის 14 თებერვლის შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტზე თანდართულ ფორმა N2-ში (სამუშაოების ღირებულებით - 52.0 ათასი ლარი, მათ შორის პირდაპირი ხარჯები - 35.2 ათასი ლარი) სახელშეკრულებო პირობების დარღვევით მიმწოდებლის მიერ ზედნადები ხარჯები დარიცხულია 5.6%-ის ოდენობით, ხოლო მოგება 7.3%-ის ოდენობით. გარდა ამისა, შპს „ელექტროობისა და განათების კომპანია“ ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის დაჯარიმებული იქნა 3.6 ათასი ლარით. აღნიშნული ჯარიმის თანხა მის მიერ შეტანილი იქნა ფორმა N2-ში (დამატებული იქნა პირდაპირ ხარჯებს), რომელზეც შემდეგ განხორციელებულია დარიცხვებიც. სულ ზემოაღნიშნული დარღვევებით ფორმა N2-ის ღირებულება გაზრდილია 6.7 ათასი ლარით ($52.0 - 35.2 * 1.04 * 1.049 * 1.18$).

ზემოაღნიშნული ზედმეტად გადახდილი თანხა მთავარი სამმართველოს 2011 წლის 3 ოქტომბრის N1221320 წერილის საფუძველზე შპს „ელექტროობისა და განათების კომპანიის“

მიერ ოთხ ეტაპად დაბრუნებული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში (2011 წლის 28 ოქტომბერს - 2.0 ათასი ლარი, 2011 წლის 20 დეკემბერს - 2.0 ათასი ლარი, 2012 წლის 6 იანვარს - 0.9 ათასი ლარი და 2012 წლის 7 თებერვალს 1.8 ათასი ლარი).

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაში არსებული სხვა ხარვეზები

მთავარ სამმართველოს დასუფთავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო დოკუმენტაციებით განსხვავებული მოთხოვნები აქვს დადგენილი. კერძოდ, 2012 წლის 11 იანვარს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120001155, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 520.0 ათასი ლარი) სატენდერო დოკუმენტაციით ერთ-ერთ მოთხოვნად დაფიქსირებულია 5 წლიანი უწყვეტი გამოცდილება, ხოლო 2013 წლის 7 მარტს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130005730, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 469.9 ათასი ლარი) სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია 2 წლიანი გამოცდილება. ორივე ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „სუფთა სამყარო“. პირველ ტენდერში შპს „სუფთა სამყაროს“ არ ჰყავდა კონკურენტი და შედეგად ტენდერის ეკონომიამ შეადგინა 2.1 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს გამოცხადებულ ტენდერში (უფრო ნაკლები შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით) მონაწილეობდა 2 პრეტენდენტი და შესაბამისად კონკურენტულ გარემოში ტენდერის ეკონომიამ შეადგინა 81.0 ათასი ლარი. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ 5 წლიანი უწყვეტი გამოცდილების მოთხოვნა წარმოადგენდა კონკურენციის ხელოვნურად შემზღუდავ ფაქტორს და ამცირებდა ეკონომიის მიღების შესაძლებლობას, რაც მიუთითებს, რომ SPA120001155 ტენდერის ჩატარების პროცესში სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების ჩამოყალიბებისას მთავარი სამმართველოს მიერ არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით²¹ განსაზღვრული რაციონალური ხარჯვის ვალდებულება.

ზოგიერთ შემთხვევებში სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი საქონლის აღწერისას მითითებული იყო ისეთი პარამეტრები, რომელთა საჭიროება აუცილებლობას არ წარმოადგენდა და კონკურენციის შემზღუდავ პირობებს ქმნიდა. შედეგად, ტენდერებში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, რითაც იზღუდებოდა კონკურენცია და ფასის კლების შესაძლებლობა. აღნიშნული სახის გადაწყვეტილებები შესაბამისობაში არ არის საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის ვალდებულებასთან. მაგალითად:

2012 წლის 17 დეკემბერს მთავარმა სამმართველომ ორი ერთეული მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120028204) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 144.2 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი საქონლის აღწერისას მითითებული იყო ისეთი პარამეტრები, რომელთა საჭიროება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. კერძოდ, დოკუმენტაციაში

²¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

დაკონკრეტებულია, რომ ავტომობილი უნდა ყოფილიყო 2012 წლის მოდელი, ძრავის მოცულობით 4.0, სიგრძე, სიგანე და სიმაღლე შესაბამისად 4760x1885x1845მმ, ძარა 1GR-FE-Euro 3-1, საწვავის ავზი 87 ლიტრი, ფარების გამრეცხით, გვერდითი საფეხურები განათებით და ა.შ.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისმა“, რომელმაც გაიმარჯვა სავარაუდო ღირებულებაში დაფიქსირებული ფასის შესაბამისად. მხარეებს შორის 2012 წლის 21 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N158 ღირებულებით 144.2 ათასი ლარი. იმავე დღეს, მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით მთავარმა სამმართველომ მიიღო 2 ერთეული ტოიოტა LC 150, თითოეული ღირებულებით 72.1 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მთავარ სამმართველოს აღნიშნული ავტომანქანების შეძენა 2012 წლის თავდაპირველი შესყიდვების გეგმით არ ჰქონდა დაგეგმილი. შსს ავტოპარკის განახლების მიზნით 2012 წლის 17 დეკემბერს სამინისტროსგან მოითხოვა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში დამატებით 144.2 ათასი ლარის გამოყოფა. შედეგად სამინისტროს ცენტრალური აპარატის ასიგნებიდან რესურსი გადანაწილდა მთავარი სამმართველოს ასიგნებაზე. იმავე დღეს გამოცხადდა ტენდერი ავტომანქანების შესყიდვის მიზნით. ავტომანქანები შეძენიდან 3 კვირის შემდეგ შს მინისტრის 2013 წლის 8 იანვრის N5 ბრძანების საფუძველზე (ავტოსატრანსპორტო საშუალებებების აღრიცხვის მოწესრიგების და მათ გადაადგილებაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით) გადაეცა სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტს. იმავე ბრძანებით ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს გადმოეცა 1 ერთეული ტოიოტა LC-200. ავტომანქანები ფაქტობრივად შეძენილია სამინისტროსთვის და არა მთავარი სამმართველოსთვის. გაურკვეველია რატომ არ განხორციელა შესყიდვა თვითონ სამინისტრომ. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო მიზანშეუწონელი და დაუსაბუთებელია ასიგნებათა აღნიშნული გადანაწილების განხორციელება და ავტომანქანების შეძენა.

საოფისე ავეჯის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერების (SPA120007494, SPA120011233 და SPA120002934) სატენდერო დოკუმენტაციებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას მითითებული იყო ისეთი ტექნიკური პარამეტრები (ზომა, ფერი, კონსტრუქცია და სხვა), რაც შეიძლებოდა მხოლოდ კონკრეტული მიმწოდებლის კონკრეტულ საქონელს დაეკმაყოფილებინა. ერთ შემთხვევაში (SPA120007494) სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო სავარძლის ზუსტი წონა 10.3 კგ და მოცულობა 112 მ³. მეორე შემთხვევაში (SPA120011233) მოთხოვნილი იყო, რომ სავარძელს ზურგზე უნდა ჰქონოდა ხუთი 4 სმ-იანი და ექვსი 1 სანტიმეტრიანი ზოლი. მესამე შემთხვევაში (SPA120002934) მოთხოვნილი იყო სავარძლის საზურგის კონკრეტული სიმაღლე, სიგანე, სახელოურის სიგანე და ა.შ. ჩატარებული ტენდერების შედეგად გამარჯვებულები გამოვლინდნენ უკონკურენტოდ. ხელშეკრულებები გაფორმდა შპს „ოფის 1-თან“ (N23, 07.02.2012 და N56 14.03.2012) სულ ღირებულებით 46.8 ათასი ლარი და შპს „ნოვი სტილი ჯორჯიასთან“ (N96, 24.05.2012) ღირებულებით 72.0 ათასი ლარი. აღნიშნული გარემოებები იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ ზემოაღნიშნული ტენდერები

ჩატარდა მიკერძოებულად, რაც ვერ უზრუნველყოფდა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ 2013 წლის 23 სექტემბერს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA130020865) 2145 ცალი ქურთუკის შესაძენად შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 199.5 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. ტენდერში გაიმარჯვა ი/მ „ავთანდილ ჭაფოძე მაქსმა“ სატენდერო წინადადებით 174.9 ათასი ლარი. 2013 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული N194 ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი მიეწოდებინა მისი გაფორმებიდან შვიდი კვირის ვადაში. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით მიაწოდა შესყიდვის ობიექტი, რის გამოც დაჯარიმდა ჯამურად 2,795.52 ლარით. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების მიუხედავად, მხარეებს შორის 2013 წლის 17 დეკემბერს გაფორმდა ურთიერთშეთანხმების ოქმი, რომლის მიხედვითაც შეიცვალა ხელშეკრულების პირობები - ანგარიშსწორების წესი. ცვლილების მიხედვით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 60%-ის ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდა წინასწარი ანგარიშსწორებით. აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებდა წინასწარ ანგარიშსწორებას და ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა წინასწარი ანგარიშსწორების შესახებ ეწინააღმდეგება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

ანალოგიურ მიდგომას ჰქონდა ადგილი მთავარი სამმართველოს მიერ 5033 ცალი წინაფრიანი ქუდისა და 5033 ცალი ჰალსტუხის შესაძენად 2013 წლის 3 ოქტომბერს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერით (SPA130021765) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებითაც (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 120.8 ათასი ლარი). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „სამკერვალო მაუდმა“, რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად სატენდერო წინადადებით 100.7 ათასი ლარი. შედეგად 2013 წლის 8 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N201. 4 დღის შემდეგ 2013 წლის 12 ნოემბერს მიმწოდებელთან გაფორმდა ურთიერთშეთანხმების ოქმი ანგარიშსწორების წესის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 15%-ის ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდებოდა წინასწარ, რაც ეწინააღმდეგებოდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

ცალკეულ შემთხვევებში ხელშეკრულებები გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. ვერ იქნა დასაბუთებული რომ აღნიშნულ შემთხვევებში არსებობდა ვითარება²², რომელმაც გამოიწვია გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გზის გამოყენება. მაგალითად, მთავარმა სამმართველომ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გზით

²² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული.

2013 წლის 17 სექტემბერს შპს „მზს“-სთან გააფორმა ხელშეკრულება N179. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 40 ცალი კომპიუტერის კომპლექტის შესყიდვა, ღირებულებით 31.0 ათასი ლარი. მოტივად მოტანილია ის გარემოება, რომ არსებული კომპიუტერები მოძველებული იყო და ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. აღნიშნულ ვითარებაში კომპიუტერების გამოცვლის საჭიროება გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო 2013 წლის შესყიდვების გეგმის შედგენისას და შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2013 წლის განმავლობაში ცალკეული ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვები ასევე განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, რაც მიზანშეუწონელია. კერძოდ, მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა ჯამური ღირებულებით 68.0 ათასი ლარი²³ და მთავარი სამმართველოსა და მისი ტერიტორიული დანაყოფების დასუფთავების მომსახურების შესყიდვა ჯამური ღირებულებით 171.0 ათასი ლარი²⁴. მთავარ სამმართველოს 2013 წლის 20 ნოემბრისთვის უკვე დამტკიცებული ჰქონდა 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იყო აღნიშნული მომსახურებების შესყიდვა ელექტრონული ტენდერების საშუალებით. შესაბამისად არსებობდა საკმარისი დრო ტენდერების გამოსაცხადებლად.

აღსანიშნავია, რომ დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე დაგვიანებით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130005730) გაიმარჯვა იმავე შპს „სუფთა სამყარომ“, რომელთანაც 2013 წლის 11 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N99 ღირებულებით 388.9 ათასი ლარი (წლის დარჩენილი თვეების მომსახურებაზე). აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრულმა ერთი თვის მომსახურების ფასმა შეადგინა 43.2 ათასი ლარი, რაც 9.0 ათასი ლარით ნაკლებია გამარტივებული შესყიდვის გზით მასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ფასებთან შედარებით. შესაბამისად, მთავარი სამმართველოს მიერ აღნიშნული შესყიდვის სწორად ორგანიზების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მიღებულიყო 27.0 ლარის ეკონომია (9.0*3თვე).

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა მთავარი სამმართველოს საქმიანობა და მისი ფინანსური ოპერაციები, მატერიალური ასპექტების გათვალისწინებით, შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

²³ ხელშეკრულებები: N5, 03.01.2013 - შპს „იბერია სერვისთან“; N7, 03.01.2013 - შპს „იბერია ავტოპაუსთან“; N31, 01.02.2013 - შპს „ტოიოტა ცენტრთან“; N41, 14.02.2013 - შპს „იბერია სერვისთან“; N42, 14.01.2013 - შპს „იბერია ავტოპაუსთან“.

²⁴ ხელშეკრულებები: N4, 03.01.2013; N29, 01.02.2013; N59, 01.03.2013 და N89, 01.04.2013 - ყველა შპს „სუფთა სამყაროსთან“.